**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწევრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### „უპატრონო საფლავის“ შესახებ

„ივერიის“ № 120-ში წავიკითხე ბ-ნ მანსვეტოვის შენიშვნა „უპატრონო საფლავი“. საყოველთაო სასიხარულოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საფლავი უპატრონო-კი არა, პატრონიანი არის და დიდ პატრონიანიც. ბ-ნი მანსვეტოვი სწერს, თ. დავით ბარათაშვილმა უკვე გამოაცხადა, რომ იგი ოცს თუმანს სწირავს თავის წილად განსვენებულ ნიკო ბარათაშვილის გვამის გადმოსატანადაო. დიდად და დიდად სასიამოვნოა და, როგორც თ. დავით ბარათაშვილს ვიცნობ, არ გაუჭირდება და თავისდა სასახელოდ აასრულებს თავისს ნათქვამს. გარდა ამისა უნდა მოგახსენოთ შემდეგი.

ამ ორის კვირის წინად მქონდა ლაპარაკი ამავე საგანზედ თავად გიორგი ილიას ძე ორბელიანთან, რომელიც ბიძაშვილად მოჰხვდება განსვენებულს პოეტს ნ. ბარათაშვილს. როდესაც ვკითხე, რას ჰფიქრობთ ნ. ბარათაშვილის გვამის გადმოტანის შესახებ მეთქი, თ. გიორგიმ მიპასუხა: „მე ყველა ჩვენს ნათესაობას ვაცნობე ეს ამბავი და ვსთხოვე, ვისაც რა შეუძლიან, იმითი დამეხმაროს ჩვენის ბიძაშვილის პოეტის გვამის გადმოტანაზეო. ეხლა იმათ პასუხს ველი და დიდხანსაც არ დავუცდი: თუ ვინმემ ხმა ამოიღო, ხომ კარგი, თუ არა და მარტო მე, რაც უნდა დამიჯდეს, ვიკისრებ ამ საქმის შესრულებასაო“. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნათქვამზედ ეჭვსაც ვერავინ გაივლებს, რადგანაც ამ საქმისათვის თავად გიორგის ღონეც საკმაოდა აქვს და ენერგიაც. ბ-ნი მანსვეტოვი ამბობს, 40 მანეთი შევკრიბეთ ამ საქმისთვისაო. უცხო და პატიოსანი, დიდის სიამოვნებით ყოველი ჩვენგანი იკისრებს ამ გვარ შრომას, მხოლოდ ერთს მოგახსენებთ. რადგანაც ნათესაობა კისრულობს პოეტის გვამის გადმოტანას, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, შეასრულონ კიდეც, და რასაც ჩვენ შევკრებავთ, იმითი ძეგლი დაედგას პოეტს საფლავზედ. მხოლოდ დაყოვნება არ უნდა ჩვენებურად. ნ. ბარათაშვილის საფლავი რომ თვალიდგან არ მიგვეფაროს (ქუჩას მალე გაიყვანენ იმისს საფლავზედ), საჭიროა ეხლავე ჩვენმა მეთაურებმა მიმართონ ბ-ნს განჯის გუბერნატორს თავად ნაკაშიძეს ამ საყოველთაო საქმის შესახებ.

ა. ცაგარელი

## ახალი ამბავი

*** 9 ივნისის პეტერბურგის გაზეთებში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი ახლად მიცვალებულ პატივცემულ პროფესორ დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის დასაფლავების შესახებ: 8 ივნისს ნიკოლსკის ტაძარში რიგი გადაუხადეს განსვენებულს პროფესორს დავით იესეს ძეს ჩუბინაშვილს. ანდერძის აგებას ეკკლესიაში დაესწრნენ: საერო განათლების მინისტრი გრაფი ი. დ—ძე დელიანოვი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები და პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენელნი. განსვენებულის კუბოს ამშვენებდა შემდეგი გვირგვინები: „ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთაგან“, „პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთაგან“ და აგრეთვე საქართველოდგან გაგზავნილი გვირგვინები: „ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა“, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, „ივერიის“ რედაქციისა, „მოწაფისა თ. ილია ჭავჭავაძისაგან“, „მოწაფისა ნ. ლოლობერიძისაგან“ და მრავალი სხვა. ეკკლესიიდგან განსვენებულის გვამი მიასვენეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში. კუბოს მიცვალებულისას მისდევდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის პროფესორები ცაგარელი, პოზდნეევი, მარრი და მხცოვანი პროფესორი ბერეზინი, რომლის ლექსიკონის შედგენაშიაც განსვენებულს დავით იესეს ძეს დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის. განსვენებულის დასაფლავებასვე დაესწრნენ თ. ნაკაშიძე და თ. აკაკი წერეთელი. ბ-ნმა აკაკი წერეთელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ განსვენებულს დიდად უყვარდა თავისი სამშობლო—საქართველო და მთელი თავისი სიცოცხლე იმას შეალია, და სხვასაც ასწავლიდა ამ სამშობლოს სიყვარულსაო. ეს თავისის სამშობლოს სიყვარულია მტკიცე საფუძველი საერთო სამშობლოს—რუსეთის სიყვარულსაო. ორატორმა, სხვათა შორის, ისიცა სთქვა, რომ უკანასკნელი სიტყვა და სალაპარაკო განსვენებულისა სამშობლო იყოო.

*** 10-ს ამ თთვისას ქუთაისში, იქაურს საკათედრო ტაძარში, გადახდილი იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მეცნიერის დ. ი-ძის ჩუბინაშვილის მოსახსენებლად. ხალხი იმის მეხუთედიც არ დაესწრო, რაც შარშან განსვენებულის პროფესორის ორმოც-და-ათის წლის სამეცნიერო მოღვაწეობის დღეობაზე დაესწრო. განსვენებულის მოწაფეთა და პატივის მცემელთა იმისს მეუღლეს შემდეგი სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგს:

„დიდად შეგვაწუხა იმ სამწუხარო ამბავმა, რომ ასეთი დასაკარგი დაჰკარგა ქართულმა მწერლობამ დაუვიწყარის და მეცნიერებისათვის დიდად ღვაწლ-მოსილის დავით იესეს-ძის გარდაცვალების გამო. ნამოწაფევნი და პატივისმცემელნი მისნი, შემდეგ პანაშვიდის გადახდისა განსვენებულის სულის მოსახსენებლად, გიცხადებენ დიდსა თვისსა მწუხარებასა და მოგახსენებენ სამძიმარსა.“

*** ამას წინად ტფილისის ზოგიერთს რუსულს გაზეთში აღნიშნული იყო ის სამწუხარო ამბავი, რომ პოლიციის მოხელენი, არ ვიცით, რა მიზეზით, ხატობასა და სხვა-და-სხვა დღეობაზედ ნებას არ აძლევენ მლოცველებს მღერისასა და ლხინისას, ზურნის დაკვრისასა და ქეიფისასაო. დასასრულ გაზეთი ამბობდა, რომ რაღაც გაუგებრობით სჩადიან ასეთს საქმეს ამაზედ განწესებული პოლიციელები, რომელთ მოვალეობა მარტო ის არის, რომ წესიერებას ადევნონ თვალყურიო. თუ არა-და, კანონით არ არის აღკრძალული და იმათ რა უფლება უნდა ჰქონდეთ ასეთის უმანკო ლხინისა და ქეიფის აღკრძალვისაო. როგორც შევიტყეთ, ერთი ამისთანა პოლიციელი პოლიციის მე—6 განყოფილებაშიაც გამოჩენილა. ამ განყოფილების ბოქაულს ძალიან სჯავრებია თურმე ზურნის ხმა და განკარგულება გაუცია, არსად არ დააძვრევინოთ კრინტი ზურნასა და არღანსაო. როგორც ვიცით, ქალაქის ამ ნაწილში ბაღებია, სადაც კვირა-უქმე დღეებით შრომით მოღალული ქალაქის მკვიდრი გადის წმინდა ჰაერზედ მოსალხენად და სასიამოვნებლად, არავის არაფერს ერჩის-რა, არას უშავებს-რა და საკურველია, ვინ რად უნდა აღუკრძალოს ეს გართობა-სიამოვნება?!.

*** ერთი ამბავი შევიტყეთ, რომელიც საყურადღებო საგანს შეეხება: ქართულ თეატრის იჯარადარი ლ. ფორკატტი „ტფილისის საარტისტო საზოგადოებას“ მიუწვევია თავისთან სახაზინო თეატრის ადმინისტრატორად. წარმომადგენელს „საზოგადოებისა“-ს ბ-ნ ფითოევს, როგორც ამბობენ, კიდევაც ჩამოურთმევია ლ. ფორკატისათვის ხელ-შეკრულობა, რომ მომავალის ენკენისთვიდამ იგი, ადმინისტრატორობის გარდა, უნდა ასრულებდეს რეჟისორობასა და არტისტობასაც.

ამ დღეებში ბ-ნი ფორკატტი მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მიემგზავრება დრამატიულ დასის შესადგენად. როგორც ვიცით, მომავალ სეზონისათვის „საარტისტო საზოგადოება“-ს ოპერის მაგიერ დრამატიული დასი ეყოლება ჩვენს ქალაქში.

*** ნ. ბარათაშვილის გვამის ტფილისში გადმოტანის შესახებ გაზ. „ნოვ. ობოზრენიე“ სწერს, რომ განსვენებულის პოეტის ნათესავმა თავ. დ. ზ-ძემ ბარათაშვილმა უკვე მისცა ქაღალდი ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს და სთხოვს, ნება მიბოძეთ „აღვასრულო წმინდა მოვალეობა ჯერ ქრისტიანობისა და მერე ნათესავისაო“, ე. ი. გადმოვასვენო გვამი პოეტისა ტფილისში და დავასაფლავო მამა დავითის ეკკლესიის გალავანშიო. ამასთანავე დ. ბარათაშვილი იმასაც სთხოვს, შემწეობა აღმომიჩინეთ განჯის გუბერნატორის წინაშე, რომ მიცვალებულის საფლავი დაცულ იქმნას იმ დრომდე, ვიდრე გვამი ტფილისში გადმოიტანება, და გადმოტანა-კი შემოდგომაზედ ადრე ვერ მოხერხდებაო.

ამ გვარივე სათხოვარი მიუცია დ. ბარათაშვილს სასულიერო მთავრობისათვისაც.

გაზეთი ერთს მეტად სასიამოვნო ამბავსაც გვახარებს და, ღმერთმა ინებოს, რომ ეს გამართლებულიყოს: განსვენებულის პოეტის სურათი, რომლის შესახებ ამბობდნენ, აღარსად მოიპოვებაო, რადგან ერთად-ერთი სურათი პოეტისა ცეცხლმა შეიწირა დუბელირის ლიტოგრაფიის დაწვის დროს, დღეს აღმოჩენილა მისის ძველის მეგობრის, გენერალის თავ. მელიქიშვილის სახლობაში.

*** წელს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის უკანასკნელს კლასში სწავლობდა 17 მოსწავლე, სწავლა დაამთავრა 15-მა. მათ შორის 7 რუსია, 6-ქართველი, 1 ოსი და ერთიც სომეხი. აი ქართველთა გვარები: პეტრე ალბორაშვილი, თავ. გ. ვაჩნაძე, გიორგი ჯაფარიძე, ალექსანდრე ნანობაშვილი, დიმიტრი ნაცვლიშვილი და გიორგი ხოშტარია. ამათ შორის პირველმა, ალბორაშვილმა, მიიღო ჯილდოდ ვერცხლის მედალი.

*** რადგან დიდი საჩივარი გამოითქვა ამ ბოლოს დროს ქალაქის მილის წყალზე, რომ მილი ვერ იძლევა იმდენს წყალს, რამდენიც საჭიროა ქალაქსაო, დღეს მთელი კომისია მიდის, რომ გამოიანგარიშონ, რამდენი წყალი შეიძლება მოვიყვანოთ ეხლანდელის მილით ავჭალიდამ ქალაქშიო. კომისია ორად დანაწილდება: ერთი ნაწილი დილის მატარებლით წავა ავჭალაში, ხოლო მეორე დილის $9^1/_4$ საათზე მივა ქალაქის აუზთან, რომელიც რკინის გზის სადგურის ზემოდაა ტფილისში გამართული. ამ კომისიამ ჯერ მილის წყალის ანგარიშები უნდა განიხილოს და მერე შეუდგეს მილებში მომავალ წყალის ვარაუდობასაც.

თუ საბჭოს ხმოსანნი მოისურვებენ იქ დასწრებას, შეუძლიანთ მივიდნენ დანიშნულს დროზე.

*** თელავი. კვირას, 9 ივნისს, ჩვენის „საზოგადო კრების“ დარბაზში ქართულ დრამატიულ დასის არტისტებმა ქართული წარმოდგენა გამართეს. მონაწილეობა მიიღეს: ქქ. კახიძისამ, დიდებულიძისამ და ბბ. აწყურელმა, გამყრელიძემ, მამალაძემ და ზურაბიშვილმა. წარმოადგინეს ცაგარლის კომედია-ფარსი ბაიყუში, მესხის ახალი ვოდევილი მოჩვენება და ვოდევილი სუსტი მხარე. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით მხიარულად „სუსტი მხარე“ ითამაშეს.

ხალხი ნახევრად იყო დარბაზში და სრული კმაყოფილნი დარჩა წარმოდგენისა.

ახირებული კაციც გამოჩნდა წარმოდგენის ღამეს კლუბის დარბაზში. ერთად-ერთი მუსიკა წარმოდგენის დროს ანტრაქტებში ზურნა იყო და იმასაც ბოლოს უღებენ. კლუბის ერთი წევრთაგანი ახირდა იმ ღამეს და მაინცა-მაინც უნდოდა ზურნის ჩაჩუმება. თუმცა ბევრი ემუდარეს არტისტებმა ამ ვაჟბატონს, მაგრამ ვერას გახდნენ.

ძლიერ დაგვავალებდნენ ქართულ დასის არტისტები, ერთი წარმოდგენა რომ გაემართათ აქაურ „საზოგადო წიგნთ-საცავის“ სასარგებლოდ, რომელიც უკანასკნელს დღეშია ამ ჟამად.

*** 14 ამ თთვისას ნიარ-აღასპერეთფზის ცოლს ჩხუბი მოუვიდა ბიუგაარუიზის ცოლთან და ხანჯლით დასჩრა. დამნაშავე შეიპყრეს,

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები ნ. დადიანისა)

—

ა

პავ-კარგისა დაკვირვება მისს ნაწერებს აზის დაღად,
ვარამსა ჰგრძნობს ამ ყოფისას, გაგრძნობინებს შენც სადაღად,
ქვეყნის აუგს მწვავად ჰბასრავს, სიწამხდრესა სახავს მძაღად
სეტყვას აყრის ბიწს, შენამალს, კარგს გიხატავს ცოცხლად, საღად,—
ენის სხარტი, ლექსის დაქსვა, ალამაზებს მისგან თქმულებს,
ნაჭირვების გაცხადებით ბევრს ჰკურნავს და ბევრს აწყლულებს.
ტრფიალებას ათამაშებს, ხან აყვარებს, ხან აძულებს,
იწრო ალაგს მარდად გავა, მით ხსნის დრამის შენაკრულებს.

***

პლმაფრენითა მწერალი, ენა-მზე, აზრ-მახვილია,
კიდის-კიდემდე ცნობილი, ცის ნიჭად მოვლენილია,
ამერ-იმერთა სვის ხატად, თავის თავ გამოჭრილია,
კილო უქცევი, ლექს-მარჯვე, თვით მოქართულე ტკბილია,
იწყლვის ერისა წყლულებით, მისი ნამდვილი შვილია,
სიქადულია მამულის, მაგრამ მაინც სდევს ცილია.

---

### მართებლობის განკარგულება.

### წერა-კითხვის სასწავლებლის წესები.

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 121)

§ 13. ეპარქიის ყოვლად სამღვდელოთ შეუძლიანთ ჯილდოზედ წარადგინონ ის წერა-კითხვის სასწავლებლის მზრუნველნი, რომელთაც განსაკუთრებული ქონებრივი და ზნეობრივი დახმარება აღმოუჩენიათ ხსენებულ სასწავლებელთა წარმატებისა და წინ-მსვლელობისათვის, თუ ეს გარმოებ შემოწმებულია თვით სამაზრო განყოფილებათა წევრების მიერ, რომელთაც თავათ დაუთვალიერებიათ სასწავლებელი, და აგრეთვე გარდაწყვეტილია ამ განყოფილებათა ჟურნალით.

§ 14. წერა-კითხვის სასწავლებელში შემდეგი საგნები უნდა ასწავლონ: სამღთო წერილი (ძველისა და ახალის აღთქმის მოკლე სამღთო ისტორია და მცირე კატეხიზმო), საეკკლესიო გალობა უნოტოდ, საეკკლესიო-სლავიანურისა და რუსულის კითხვა, წერა და პირველ-დაწყებითი თვლა.

§ 15. წერა-კითხვის სასწავლებელში უწმიდესის სინოდისა და უწმიდესის სინოდის საბჭოს მიერ ნაჩვენების სახელმძღვანელოებით და წიგნებით უნდა ასწავლონ. ზემოხსენებულს სასწავლებლებთან, შეძლების კვალობაზედ, შეიძლება დაარსდეს მასწავლებლისა და შეგირდებისათვის წიგნთ-საცავი იმ წიგნებისა, რომლებიც უწმიდესს სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოს მიერ მოწონებულია და ნება-დართულია.

§ 16. ყოველს წერა-კითხვის სასწავლებელში უნდა იყოს საკლასო წიგნი, სადაც მასწავლებელმა მოსწავლეთა სახელი და გვარი უნდა ჩასწეროს, აღნიშნოს, ვინ რამდენს გაკვეთილს დაჰკლებია და რა მიზეზით და აგრეთვე გაკვეთილების შინაარსიც აღნუსხოს. ამავე წიგნში მღვდელმა, მზრუნველმა და თვალ-ყურის მდევნებელმა დრო-გამოშვებით უნდა ჩასწეროს ხოლმე თავისი შენიშვნები იმის შესახებ, თუ რამდენად წინ მიდიან სწავლის მხრით მოსწავლეები და საზოგადოდ სასწავლებელში სწავლის საქმე როგორ სწარმოებს.

§ 17. საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებამ უნდა გამოარკვიოს წერა-კითხვის სასწავლებელში სწავლის დრო და მანვე უნდა შეადგინოს სია და წესი მთელის კვირის გაკვეთილებისა.

§ 18. სასწავლო წლიწადის გათავებისას მღვდელმა, მასწავლებელთანა და სასწავლებლის მზრუნველთან ერთად და, რამდენადაც შესაძლებელია, სოფლის მოხელეთა და მოსწავლეთა მშობლების თანადასწრებით, უნდა გამოსცადოს წერა-კითხვის სასწავლებლის მოსწავლენი. წერა-კითხვის სასწავლებლის იმ მოსწავლე ვაჟთა და ქალთ, რომელნიც ჯეროვანად დაიჭერენ ეგზამენს, უნდა მიეცეთ სამრევლო მღვდლისა, მზრუნველისა და სასწავლებლის მასწავლებლის მიერ ხელმოწერილი და საეკკლესიო ბეჭედ-დასმული მოწმობა, რომ ცოდნა აქვთ იმ კურსისა, რომელიც უსწავლიათ. სამაზრო განყოფილებებმა ადრევე უნდა დაურიგონ მღვდლებს ქაღალდი ამ მოწმობებისათვის. ეს მოწმობანი მოსწავლეებს სამხედრო ბეგარის გარდახდის საქმეში არავითარს უფლებას არ ანიჭებს. წერა-კითხვის სასწავლებლის რომელს მოსწავლესაც ჰსურს სამხედრო ბეგარის გადასახადის საშეღავათო მოწმობა მიიღოს, სასულიერო უწყების საეგზამენო კომისიაში უნდა დაიჭიროს ეგზამენი საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლით შეგირდებთან ერთად (მთავრ. კანონ. და მიწერილ. კრებ. 1889 წ. № 31, 272 მუხ.).

§ 19. წერა-კითხვის სასწავლებელში სწავლის აღზრდის საქმის უკეთ წარსამართად სამრევლო მღვდელნი ვალდებულნი არიან რაც შეიძლება ხშირად იარონ სასწავლებელში.

§ 20. მისვლის დროს მღვდელმა უნდა ნასწავლი ჰკითხოს მოსწავლეებს; მასწავლებლის გაკვეთილს თვალ-ყური ადევნოს და სამღვთო წერილის საგნიდგან ებაასოს მოსწავლეებს. განსაკუთრებული ყურადღება-კი მღვდელმა უნდა მიაქციოს, თუ როგორ არიან აღზრდილნი მოსწავლენი: სასწავლებელში მოწიწებით და კრძალვით კითხულობენ ლოცვებს, კვირა-უქმე დღეს ეკკლესიაში დადიან და კლასს გარეშე სასარგებლო და ხასიათის გამწრთელს წიგნაკებს კითხულობენ, თუ არა.

§ 21. სასწავლო წლიწადის დასაწყისს და დამლევს უნდა გარდახდილ იქმნას პარაკლისი და თავისს დროზედ სოფლის მოხელენი და მოსწავლეთა მშობლებიც უნდა მიიწვიონ დასასწრებად.

§ 22. მასწავლებელს ნება ეძლევა კვირა-უქმე დღეს სიღამოობით სასწავლებელში წიგნები წაუკითხოს ხოლმე მოსწავლეებსა და იმათს მშობლებს. ამასთანავე, სამრევლო მღვდლის ხელმძღვანელობით, ლოცვებსა და საეკკლესიო საგალობლებსაც უნდა ჰგალობდნენ.

§ 23. ამ წესებში აღნიშნული წერა-კითხვის სასწავლებელთ მმართველის მოვალეობანი, რომელიც საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებას ამევს ვალად, იმ მაზრებში, სადაც ასეთი განყოფილება ჯერ არ არის დაარსებული, დროებით, ასეთ განყოფილების დაარსებამდე, საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს უნდა დაეკისროს.

§ 24. წერა-კითხვის სასწავლებელთა უმაღლესი გამგე და იმათ შესანახავ ფულის დამნიშვნელ-განმკარგულებელი უწმიდესი სინოდია, რომელიც ამ წესების განსამარტივებლად განსაკუთრებულ დადგენილებათაც გამოსცემს. („საქართ. საექსარხ. სასულ. მოამბე“).

---

## დაბა ტ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ლეჩხუმი.** ყოველი ცოტაც არის დახელოვნებული და ოსტატი თევზის მონადირე კაცი მაშინ უფრო მოჰკიდებს ხელს თავისს ბადეს და იმედმოცემული გაეშურება მდინარისაკენ, როდესაც ეს უკანასკნელი, ავდრისა და ნიაღვარის გამო ამღვრეული და აქაფებულია. რადგანაც ამ დროს მდინარის შფოთვა-ბობოქრობის გამო ზარ-დაცემულს საცოდავს თევზებს გონება დაბნეული აქვთ, აღარც თვალი უჭრით და აღარც ჭკუა, რომ მათ დასაჭერად მიპარული მებადე დაინახონ და მისგან ნასროლს ბადეში გაბმა თავიდამ აიცილონ. ასეთს დროს მეთევზეს, თუ ცოტათი მაინც იცის თევზის ჭერის ხერხი და მიაგნო ალაგს, სადაც უნდა გადააგდოს თავისი ბადე, იშვიათად გაუმტყუნდება იმედი. სწორედ ამ ნაირად გაიძვერა და ხალხის წურბელა კაცთა დამაპოხიერებელი დრო და ჟამი მაშინ დგება, როდესაც ხალხს, საზოგადოებას, რაიმე საჭირ-ბოროტო საქმე გამოუტყვრება და დაატყდება თავს. ამ ნაირს შემთხვევაში აქვთ უხვი სთველი იმ გაქნილსა და გაიძვერა კაცებს, რომელნიც დაჩვეულნი არიან სხვის ლუკმით თავისს კვებას და სხვის ნაოფლარის თავისს ჯიბეში დებას. გაუჩნდება თუ არა საზოგადოებას რაიმე საწარმოებელი საქმე, ეს მატყუარა „აბლაკატებიც“, თითქო მიწიდამ ამოძვრნენო, იჩენენ თავს საზოგადოებაში და ათასის გვარის ოინებითა და მანქანებით უხვევენ თვალს უსწავლელს, უმეცარს ხალხს და ართმევენ ხელიდამ უკანასკნელს გროშს. ამ ნაირს შემთხვევაში ხალხის წურბელების სურვილს წინ ველარა უდგება-რა, გზა ხსნილი აქვს საზოგადოების ჯიბისაკენ და, რამდენსაც-კი იპოვის ამ ჯიბეში, შეუბრალებლად იღებს და გადააქვს თავისს ჯიბეში. უსწავლელი და გონება - გაუხსნელი ხალხი, რომელსაც არა გაეგებათ-რა ეხლანდელის კანონ-დებულებისა და, მაშასადამე, არა აქვს ღონე, თითონ აწარმოვოს და განაგოს თავისი საქმეები, მეტი ღონე აღარა რჩება-რა, ძალა უნებურად უნდა გაებას გაქნილ კაცების მანქანების ბადეში და გახდეს მათი ლუკმა... თუ იმ ხმას დავიჯერებთ, რაც ამ ჟამად ჩვენს მაზრაში ისმის, ზემოხსენებულ ხელობის მიმდევართ ასეთი შემოდგომა ფულების მოკრება-მოსთველვისა დასდგომიათ ლეჩხუმის მაზრაში, ხოლო მოსასთველავი ალაგი გახლავთ ჩვენის თავად-აზნაურობის ჯიბე.

როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს ლეჩხუმის თავად-აზნაურობას ამ ჟამად ერთი ფრიად მძიმე და დიდ მნიშვნელოვანი საქმე აქვს საწარმოებელი და გასარიგებელი. ეს საქმე გახლავთ თავიანთ ღირსებათა დამტკიცება. ეს საქმე ისეთი ხელჩასაჭიდი და გულითადი საქმეა, რომ ამის დამთავრებისათვის, არა თუ ცოტაც არის შეძლებული, უკიდურესი ღარიბი თავად-აზნაურიც არას იშურებს, ოღონდ მამა-პაპის ღირსება და ხარისხი არ დაეკარგოს. გაქნილ კაცების გულითადი სანატრელი დროც ხომ ესეთი შემთხვევა არის და, რაკი დაუდგათ ასეთი დრო, რასაკვირველია, დაფაცურდებიან და ხელიდამ არ გაუშვებენ კარზედ მომდგარს ბედს, როგორც იმის, ასეთნი კაცნი მიდიმოდიან თურმე თავიანთ საკბილო თავად-აზნაურთ შორის და სცდილობენ, რომ თავად-აზნაურობამ იმათ მიანდოს ვექილობა და წარმოება ხსენებულის საქმისა. რასაკვირველია, ეს ცდა იმისაგან არის გამოწვეული, რომ სასყიდელიც თავიანთ სურვილისამებრ აიღონ. ისინი არწმუნებენ თურმე, მეტადრე უსწავლელს აზნაურობას, რომ, თუ ვექილი არ დაიყენე და იმას არ მიანდე შენი საქმე, ისე შენით არაფრის გარიგება არ შეგიძლიან, დაიღუპები, დაგეკარგება ღირსებაო და სხვ. საქმეს ხომ დიდად ამძიმებენ და აძნელებენ, რასაკვირველია, იმ მოსაზრებით, რომ მეტი ფული აიღონ მისს გაკეთებაში და კარგად იჯერონ თავისი ხარბი გული. აზნაურობას თავბრუს ახვევენ და სასოებას უკარგვენ. რადგანაც მოსალოდნელია, რომ ასეთმა ოსტატმა კაცებმა თავისი გაიტანონ და თავად-აზნაურობას საკმაოდ ფული დასცინცლონ ხელიდამ, ამიტომ საჭიროა, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ამ თავითვე ეჭვის თვალით შეჰხედოს ასეთის კაცების რჩევასა და აზრს და ფრთხილად იყვნენ, რომ ასეთს ძალად მაცხონეებს არ ჩაუცვივდნენ ხელში, თორემ ჩვენს აზნაურობას სწორედ ისე მოუვა საქმე, როგორც ერთს არაკშია: კაცს წალდი დაეკარგა და მისს ძებნას ნაჯახიც თან გადააყოლაო. ასეთი „აბლაკატები“ ჩვენს თავად-აზნაურობას საქმეს ვერ გაუკეთებენ და ფულსაც ტყუილად ააფცქვნიან.

ქაიხოსრო გელოვანი

---

# ფელეტონი

## მოკლე მიმოხილვა ჩვენის საღმრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 124)

დასკვნა.

ვათავებთ რა ჩვენს მიმოხილვას, საჭიროდ ვრაცხთ, ბოლოს გადავავლოთ თვალი ჩვენ მიერ ნათქვამს ერთთავად და ორიოდე სიტყვით გამოვხატოთ, თუ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენის საღმრთო და საეკკლესიო ღვთისმსახურების წიგნთა მდგომარეობა თხუთმეტის (V—XIX) საუკუნის განმავლობაში. როგორც მკითხველსაც შეგნებული აქვს, სათავე აღნიშნულის გვარის მწიგნობრობისა იწყება მეხუთე საუკუნედამ და მეთორმეტე საუკუნეში ადის უმაღლეს წერტილამდე წარმატებისა. მეცამეტე საუკუნედამ იწყება სისუსტე, დაუძლურება ტ ოთხის საუკუნის (XIII—XVI) განმავლობაში უკიდურესს მდგომარეობაში ვარდება. ამას შემდეგ თუმცა ორის საუკუნის განმავლობაში ჩვენი საღმრთო და საეკკლესიო ღვთის - მსახურების წიგნები ხელმეორედ ძალ-ღონეს იკრებავს, ვრცელდება, იბეჭდება და საქართველოს სამღვდელოებას სანუგეშოდ უქადის, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში ეს სასოება მოჩვენებასავით ჰქრება და, როგორც თვით საღმრთო და საეკკლესიო ღვთისმსახურების წიგნთა რიცხვი, აგრეთვე მათი შინაგან-გარეგანი ღირსება და მათი ღირსეულად მომზადებული მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე ისე მცირდება, რომ უნებლიედ გვეხატება სამწუხარო აწმყო და უნუგეშო მომავალი ჩვენის საღმრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა. თუ გვინდა, რომ ამისთინა გაჭირვებულს დროს საღმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს ქათულად სათანადო წარმატება დაეტყოს, ამისთვის ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ უნდა მოახდინოს ძირითადი ცვლილება, როგორც შესახებ საღმრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვისა, აგრეთვე მათის გაიაფებისა, გამრავლებისა და გავრცელებისა სასწავლებლებში, სამღვდელოთა შორის და თვით ხალხში. ამისთვის აღნიშნულ სასულიერო მთავრობის თაოსნობით და გულწრფელის დახმარებით უნდა:

ა) დაწესდეს მუდმივი კომიტეტი ქართულ საღმრთო და საეკკლესიო წიგნებში განვითარებულთა გვამთა, რომელმაც უნდა ყურადღებით გადასინჯოს ჩვენი საღმრთო და საეკკლესიო წიგნები, აღადგინოს და შეასწოროს ჟამთა ვითარებისაგან მომხდარი ცვლილება შედარებით სვა-ტ-სხვა ქართულს ვარიანტებთან და აღმოსავლეთ ეკკლესიის მიერ მიღებულს წიგნებთან; ხოლო უკეთუ აღმოჩნდება, რომ ჩვენს ეკკლესიას რომელიმე წიგნი აკლია სხვა აღმოსავლეთ ეკკლესიასთან შედარებით, გადმოთარგმნოს და სრულიად მომზადებული წიგნი გარდასცეს ადგილობრივს „ქართულს საეკკლესიო“ ან სხვა კერძო სტამბას დასაბეჭდად.

ბ) გაიხსნას საექსარხოსო სტამბა, სადაც იბეჭდებოდეს მთელის საექსარხოსთვის საჭირო საღმრთო ტ საეკკლესიო წიგნები, სამწერლო ნიმუშები (ბლანკები) სხვადასხვა დაწესებულებათათვის, როგორც მაგ. სასულიერო სიმინარიისა, სასწავლებლისა, საქართველო-იმერეთის კანტორისა, სხვა ეპარქიების კანცელარიებისა, ეკლესიებისათვის და სხვათა. უკეთუ ამ მეორე მუხლში გამოხატულს მოსაზრებას ვერ განახორციელებს ადგილობრივი სასულიერო მთავრობა ამ მოკლე ხანში, შემდეგისთვის მაინც უნდა კარგად მოიფიქროს და ასწონოს, რათა თავისს სასარგებლოდ [illegible] დააბოლოვოს ეს საქმე. ვიდრე ამგვარი ცვლილება შემოდებულ იქმნებოდეს, საჭიროა, რათა სასულიერო მთავრობა შეეკრას რომელსამე ტფილისელს მესტამბეს, ამ საქმეში უფრო დახელოვნებულს, თუ იაფად არ, იმავე პირობით მაინც, რომელსაც იძლევა მოსკოვის სასინოდო სტამბის გამგეობა. ამასთანავე საჭირო იქმნება, რათა სასულიერო მთავრობამ წინადვე მოსთხოვოს ხსენებულს მესტამბეს, რომ მან იყოლიოს ჯამაგირით თუ სხვა გვარ საფასით ქართულს საღმრთო და საეკკლესიო წიგნებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი ლგ)

**Древности восточныя**, ტ. პირველი, გამოცემა მოსკ. მოსკოვი. 1891 წ. *).

(დასასრული. იხ. „ივერია", № 124)

ლიპარიტი საისტორიო ასპარეზზედ გამოდის 1028 წელს. ამ დროს მეფე ბაგრატი ჯერ ისევ ყრმა იყო, ყრმა 15 წლისა და ახლად ჯვარ დაწერილი ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ არგირის ნათესავს ელენეზე.

1036 წელს სომხეთს დიდ-ძალის ჯარით შეესია დვინის ემირი ფადლონი. სომხებმა შემწეობა სთხოვეს ბაგრატს. ამან მიაშველა ლიპარიტ ორბელიანისა და იოანე აბაზიძის მეთაურობით 4,000 გაწურთნული ჯარი. ამათ მიეშველა აგრეთვე გაგიკი, კახეთის მეფე. ლიპარიტმა ფადლონი სწრაფად დაამარცხა და უკუნ აქცია. სრულიად დაძლეულს მტერს ბრძოლის ველზე დარჩა დიდ-ძალი ალაფი. ფადლონი თვითონაც მალე დროში ჩაკვდა.

ამ გამარჯვებამ ისე გაამხნევა ლიპარიტი, რომ იქვე აბაზაძესთან ერთად გადასწყვიტა გაენთავისუფლებინა ტფილისი ემირის ჯაფარისაგან. სურვილი საქმედ აქცია. მეფის დაუკითხავად შემოესია ტფილისს დასავლეთის მხრიდამ და ბირთვისის ციხე აიღო. მეფეს არ მოეწონა თვით-ნებობა თავისის სარდლისა და უბრძანა, ბირთვისი ისევ ჯაფარისთვის დაეთმო. მაგრამ ლიპარიტმა არ ინდომა, პირ-იქით მეფე დაარწმუნა, რომ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ეხლა ფრიად მარჯვე დროაო და გადიბირა თავისს მხარეს. ლაშქრის მეთაურობა მეფე ბაგრატმა მიიღო. ეს იყო 1038 წ.

ჯარი ორ დასად გაიყო. აღმოსავლეთის მხრით ტფილისს აწვებოდნენ კახელები და დასავლეთის მხრივ მტერს ალყა შემოარტყეს ქართლ-იმერეთის ჯარმა. ომი გაგრძელდა ორს წელიწადს. მაგრამ ტფილისი ისევ მაგრობდა. ორბისისა და ფარცხისის ციხენი აღებულ იქმნენ. მტერს ყოვლის მხრივ გზა შეეკრა. გაჭირდა ცხოვრება. ემირმა ტფილისის დატოვება და გაპარვა განიზრახა. აი სწორედ ამ დროს შეუჩნდნენ მეფეს ლიპარიტის მტრები და ორგულობა შესწამეს ამ უკანასკნელს. მეფემ ირწმუნა ქვეყნის მოღალატეთა სიტყვა და ბრძანა: „ტფილისში ემირად დარჩეს ისევ ჯაფარი. ქართველთა მხედრობა შემოეცალოს ტფილისს".

აი აქ გაინასკვა ის ჭია, რომელმაც ბაგრატისა და ლიპარიტის შორის მეგობრობას ღრღნა დაუწყო და სრულიადაც მოძოვა.

ლიპარიტი მეფის განკარგულებამ დიდს მწუხარებაში ჩააგდო. ეს მწუხარება შემდეგ აღშფოთებად გადაექცა. ლიპარიტთან ერთად დრტვინვა და ამბოხი დაიწყეს კახელებმაც. ბაგრატმა დრო არ დაახანა. შევიდა აჯანყებულს კახეთში, მეამბოხენი სძლია, დაატყვევა უკეთესი მათი ერისთავები (პანკისისა, ხორნაბუჯისა, სტორისა და სხ.), გადასწვა ბოჭორმის დიდებული სასახლე და ქართლს დაბრუნდა.

ლიპარიტი, ეს ძლიერი მებატონე მაშინდელის დროისა, ამასობაში ემზადებოდა მეფესთან საბრძოლველად. მაგრამ ამ ხელად მეფემ შემოირიგა იგი 1041 წელს.

მაგრამ მათ შორის გულითადი მორიგება არ მომხდარა. „ძლიერი, როგორც თვითონაც ამბობს, ერისთავთა შორის", ლიპარიტი მხოლოდ შემთხვევას ეძებდა, რომ ევნო მეფისთვის. ასეთი შემთხვევაც მიეცა 1045 წელს.

ამ 1045 წელს სომხებს დიდი უბედურება დაატყდათ. მათი ქვეყნის უმეტესი ნაწილის დასაკუთრება მოინდომეს ბერძნებმა. ამ გარემოებამ თვით სომხეთის ერი სამ დიდ დასად გაჰყო: ყველა დასს ჰსურდა, თავისი კანდიდატი დაესვა სომხეთის ტახტზედ. სხვათა შორის, ერთმა დასმა ამავე მიზეზით მიიწვია მეფე ბაგრატი. ეს დათანხმდა და მსწრაფლ თვისი ჯარი გაისტუმრა სომხეთს. საბერძნეთის იმპერატორს ეწყინა და ლიპარიტს ჯარი მოაშველა და დაავალა, არა თუ ბაგრატისთვის წაერთმია უკვე დაპყრობილი დედა-ქალაქი სომხეთისა—ანი, არამედ მეფობაც ჩამოერთმია.

ლიპარიტმა ყოველივე ნაბრძანევი დიდის სისწრაფით შეასრულა. ანი აიღო და გამაგრდა. მეფე წამოვიდა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ კახელებმა და მესხებმა მხარი არ დაუჭირეს და ბაგრატი 1046 წ. იძლია სასირეთში.

ბაგრატმა ლიპარიტთან შერიგება მოინდომა. თავისი ჯარი დასტოვა სიმაგრეში და თითონ მცირე ამალით წავიდა ლიპარიტის სანახავად. მაგრამ ამ უკანასკნელმა მეფე არ ინახულა. გულდაწყვეტილი ბაგრატი დაბრუნდა უკანვე და იმერეთს მივიდა. მაგრამ საქმეს ამით არ მოეღო ბოლო.

კალმახის ერისთავი—სულა, არტანუჯისა—გრიგოლ და მესხეთის ზოგიერთი აზნაური შეითქვნენ წინააღმდეგ ლიპარიტისა, მიიწვიეს მეფე და გამაგრდნენ არკის ციხეში. მაგრამ ლიპარიტმა აღარ დააცალა. თვითონვე დაეცა ამ ციხეს და აიღო. ბაგრატი ძლივს გაიქცა ქუთაისს. სულა და გრიგოლი დატყვევებულ და განაწვალებულ იქმნენ. ლიპარიტი თავისუფლად შემოვიდა ქართლს და ბატონობა დაიწყო.

შემდეგ ამისა მოუსვენარი ლიპარიტი შეებრძოლა დვინის ემირს (1046 წ.) და მერე, ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით, ოსმალებს. მაგრამ აქ დატყვევებულ იქმნა. ამ დროს ლიპარიტის შვილებმა—იოანნემ და ნიანიამ მოიწვიეს მეფე ბაგრატი და ქართლი ჩააბარეს.

მაგრამ რაღაც მანქანებით ლიპარიტი ისევ განთავისუფლდა. გაიგო თუ არა ბაგრატმა დაბრუნება ლიპარიტისა, შეშინდა და უკანვე ქუთაისში დაბრუნდა. ლიპარიტმა ისევ დაიწყო ქართლის გამგეობა.

აი სწორედ ამ დროს ეკუთვნის ზემორე მოყვანილი წარწერა, რომლითაც ლიპარიტს თავი მოაქვს „მაგისტროსობით" და უფლისაგან ითხოვს შეწყალებას არა მეფისა და დედოფლისთვის, არამედ „ყოველთა ერისთავთა, აზნაურთა, მღვდელთა და ყოველთა მსახურთათვის ერსითავთა ერისთავის მაგისტროსის ლიპარიტისა". ლიპარიტი კათალიკოზსაც არ ახსენიებს. სჩანს რომ იგიც მოწინააღმდეგე ყოფილა გაამაყებულის ლიპარიტისა.

ჩვენის აზრით, ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს ის წარწერაც (იხ. წერეთლის წერილი, გვ. 272), რომლითაც ლიპარიტის დედა „ცხოვრება" თავისს თავს უწოდს „დედოფალთა დედოფალს".

როგორც სჩანს ყველა ამ ფაქტიდამ, ლიპარიტს უკვე გადაწყვეტილი ჰქონია, რომ გამეფდეს საქართველოში.

აქ უნდა მოვნახოთ მიზეზი იმ გარემოებისაც, რომ მეფე ბაგრატი იძულებული ხდება, წავიდეს კონსტანტინეპოლს თავის დედითურთ და ითხოვოს იმპერატორისაგან, რათა შემწეობა მოაკლოს ლიპარიტსა. იმპერატორმა სიამოვნებით მიიღო დიდებული სტუმრები. ამ მოლაპარაკებაში სამმა წელიწადმა განვლო. შემდეგ დიდის საჩუქრებით დაბრუნდნენ დედა-შვილი თავისს სამეფოში. მათმა დაბრუნებამ დიდად გაახარა მთელი ერი. ლიპარიტი უკვე მოძულებული ჰყვანდათ. სულა კალმახელმა და მესხეთის სხვა დიდ-კაცობამ დაატყვევეს ლიპარიტი და მისი შვილი ივანე და მეფეს მიჰგვარეს; ერს უნდოდა მოღალატეთა ჯვარცმა, მაგრამ მეფემ ნება არ მისცა. პირიქით ლიპარიტს აპატივა ყოველივე დანაშაული და ხელახლა დაუმტკიცა მისი საგვარეულო მამულები ზედ დამატებით არგვეთისა. მაგრამ ამაყმა ლიპარიტმა სირცხვილისაგან ველარ გასძლო თავის სამშობლოში. ბერად შესდგა და იერუსალიმს გაემგზავრა. ამ გარემოებას იხსენიებს თვით მისივე სახარების ზედ-მინაწერი, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ: „სახელითა ღვთისათა მე ანტონი, ლიპარიტ ყოფილმან, ლიპარიტ ერისთავთა ერისთავმან" და სხვ. სჩანს რომ ბერობის სახელი ამ დიდებულ ფეოდალისა ყოფილა ანტონი.

კიდევ ბევრი რამ საყურადღებო წარწერა ჩაურთავს გ. წერეთელს თავისს წერილში. სამწუხაროდ ხანდახან ეს წარწერანი სწორედ არ არის დაბეჭდილი· კორექტურა კოჭლობს.

ესომ

*) წინა ნომერში კორექტურული შეცდომა მოგვივიდა. დაბეჭდილია: „Великій, выдающійся изъ рода царей", ხოლო უნდა იყოს: Великій, выдающійся изъ ряда царей".

## წვრილი ამბავი

ამას წინად პარიჟში დაასაფლავეს გენერალი სუმპტი, რომელიც სენადასთან ბრძოლის დროს ორსავ უხელო დარჩა და მას შემდეგ ნაკეთი ხელები-ღა ჰქონდა. ომის დროს ყუმბარა მოჰხვედროდა და ორივე მკლავი შეეწყვიტა. როგორც თვითონ გენერალს უამბნია ერთის გაზეთის კორესპონდენტისათვის, ერთი მკლავი სულ მოჰშორებია, ხოლო მეორე-კი, თუმცა სულ მომტვრევია, მაგრამ პატარა ხორცით ჩამოჰკონწიალებია მხარზე. ამ სახით დაკოდილი რომ წოლილა მინდორზე, ორი ჯარის კაცი, თავისი თანამემამულე, წამოსწრობია. გენერალს დაუნახავს თუ არა, დაუძახნია: „წაიღეთ, ეს საათი და ფულები, ის მირჩევნია, რომ თქვენ დაგრჩეთ, ვიდრე პრუსიელებსაო", ჯარის კაცებს უთხოვნიათ, მოდი წაგიყვანთ, იქნება, გიშველოთ რამეო, მაგრამ გენერალი უარზე დამდგარა: არა, მე სხვა არა მინდა-რა, ამიღეთ, ღობესთან დამსვითო და პირი მტრისკენ მიყავითო. იმათაც აუსრულებიათ თხოვნა. დარჩენილა გენერალი კვლავ მარტოკა, სისხლი ძლიერ სდენია, მაგრამ გრძნობა-კი მაინც არ დაუკარგავს. უცებ ფეხის ხმა გაუგონია და თავს ისევ ის ორი კაცი წამოსდგომია: არ იქნება, აქ ვერ დაგტოვებთ, უთუოდ უნდა წაგიყვანოთო, და კიდეც წაუყვანიათ საავადმყოფოში. ექიმი მისულა შეუხვევია ჭრილობანი და შემდეგ მალევე წასულა. 36 საათის განმავლობაში კიდევ მარტოკა დარჩენილა სუმპტი და ერთის მხრით წყლის წყურვილსა და მეორეს მხრით ბუზებს საშინლად დაუტანჯავთ და შეუწუხებიათ. ბოლოს ჭრილობის შველა, მისულან და ის და ექვსი სხვა დაჭრილი აფიცერი უმთავრესს საავადმყოფოში წაუყვანიათ. აფიცრები დახოცილან, ხოლო სუმპტი-კი ცოცხალ-მკვდარი ბელგიაში წაუყვანიათ, სადაც ოთხის თვეის განმავლობაში არც ცოცხალი ყოფილა და არც მკვდარი. როგორც იყო მოუხედნია, კარგად შექმნილა და საფრანგეთში დაბრუნებულა. იქ დანიშნული ჰყოლია ეჟენ პელტანის და, მისულა და უთქვამს, მე ეხლა აბა რაღა ვარ და ნებას გაძლევ, სხვაზე გათხოვდეო. მაგრამ ქალს ეს არ უნდომნია, ისევ სუმპტს მისთხოვებია და ძლიერ კარგადაც შეეთვისნენ თურმე ერთმანეთს.

— მიუნხენში ერთი 16 წლის ქალი გარდაიცვალა მეტის-მეტად უცნაურის ავადმყოფობისაგან. ავადმყოფობის დროს სულ იმას ჩიოდა, მუცელი მტკივაო. ბოლოს საბაბი ის გაუხდა, რომ საკმარისს საჭმელს ვეღარა სჭამდა და სიმშილმა მოუღო ბოლო. პროფესორმა ბოლინგერმა გასჭრა მიცვალებული, განიჯა და აი რა აღმოაჩინა: ერთი ნაწლევი მთლად გასიებული და თმებით სავსე იყო. თითო თმა სიგრძით—3 გოჯი. ამ გვარის ავადმყოფობის ამბავი სულ ცხრაზე მეტი არ არის აღნიშნული სამკურნალო მეცნიერებაში. ამ ნაირი გასიება ნაწლევისა იმან იცის თურმე, რომ კაცი თავისს ნაკრეჭნს თმასა და ზოგჯერ სხვისასაც ჰყლაპავს. ეს ხასიათი უფრო ქალებსა სჭირთ და ნამეტნავად გარყვნილ გემოვნებიანებსა, შეშლილებსა და სხვა ამ გვარის სენით დაავადებულებს.

---

განვითარებული გვამი უმაღლესის-აკადემიის ანუ უნივერსიტეტის განათლებით, რომელსაც დავალებული უნდა ჰქონდეს, თვალ-ყური ადევნოს ქართულ საეკკლესიო წიგნთა საქმეს. ამასვე შეიძლება დაავალოს შედგენა მოსაზრებისა, თუ როგორ მოეწყოს მომავალი საექსარხოსო სტამბა.

გ) ღირსეული ყურადღება მიექცეს ქართულის ენის შესწავლას საქართველოს სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაში, სადაც მოწაფენი ისე უნდა იყვნენ მომზადებულნი, რომ ქართული სალმრთო და საეკკლვსიო ღვთი-მსახურების წიგნები ზედმიწევნით იცოდნენ და შემდეგ სწავლის დამთავრებისაც მათი საფუძვლიანად შესწავლა თავის სალმრთო მოვალეობად მიაჩნდეთ. ამისათვის უნდა შემოღებული იქმნას მეხუთესა და მეექვსე კლასში ტფილისის სასულიერო სემინარიისა ქართულის ენის გაკვეთილებზედ შედარება დაბეჭდილ ქართულ სალმრთო წერილის დედნისა, როგორც სხვა-და-სხვა ქართულს ხელთნაწერს სალმრთო წიგნების ვარიანტებთან მე-X—XII საუკუნეთა, აგრეთვე უცხო ენაზედ დაბეჭდილს დედნებთან, სახელდობრ რუსულსა სლავიანურსა, ბერძულსა, ლათინურსა და ახალს ენებზედ. მოწაფენი ამისთანა შრომას მიეჩვევიან სემინარიაშივე, სწავლის დროს, ხოლო ცხოვრებაში ზოგი მათგანი მაინც თავისთავად შეუდგებოდა ამისთანა შედარებას და შესწავლას სალმრთო წერილისას იმ ენაზედ, რომელზედაც თავის მოვალეობისამებრ უნდა ჰქადაგებდეს.

განმახორციელებელი ჩვენ მიერ დასახელებულ მოსაზრებათა შეიქმნება ღირსი ქება-დიდებისა საქართველოს ეკკლესიის შვილთაგან და ამით თვისისავე ხელით დაიდგამს უკვდავს ძეგლს სასიქადულოდ საქართველოს ეკკლესიისა, თვით მოციქულთაგან დაწესებულისა და აქამომდე მართლ-მორწმუნედ დარჩომილისა. *)

ქართლოსისძე

---

*) ამ სტატიის დაწერისათვის გვქონდა, სხვათა შორის, მასალად:

ა) ქართლის ცხოვრება, ნაწ. 1. პეტერბურგი 1849 წ., ბ) საქართველოს ისტორია ვახუშტისა, დაბეჭდილი დ. ბაქრაძის რედაქტორობით, ტფილისი 1885 წ., გ) ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა, ტფილისი 1889 წ., დ) ქართული დაბადება, დაბეჭდილი სვესენცვას 1 მაისს 1743 წ., ე) სამი ისტორიული ხრონიკა, ე. თაყაიშვილისა, ტფილისი 1890 წ., ვ) მთავარ ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართულის სტამბის დაარსება, თ. ჟორდანიასი, „ივერია" 1884 წ. №№ 23 და 1885 წ. № 10 ზ) თელავის სემინარია და გაიოზ ნაცვლიშვილი, ნ. მთვარელიშვილისა, „ივერია" 1881 წ. №№ 8—10, ჱ) ათონის დაბადება, გადაწერილი 1851 წ. იხ. ქართ. წ. კ. გამავრ. საზ. წიგნთსაცავი, თ) ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ, დეკ. დ. ღამბაშიძისა, „მწყემსი" 1890 წ. № 15—16; ექვთიმე ხელაძის ახირებულის წერილის გამო, ამისავე და იქვე 1891 წ. № 5. ი) А. Цагарели, свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, вып. 1 спб. 1886 г., ია) Уставъ Общества распростр. правосл. христ. на Кавказѣ, утвержд. 10 февр. и 9 марта 1885 г. и отчеты этого же общ. за 1871,1885—1889 гг., იბ) Каталогъ книгъ св. писанія британск. и иностран. библейск. общ., м. Моррисона за 1889 г. и образцы нарѣчій, на которыхъ распространяется св. пис., Лондонъ 1887 г., იგ) И. Хонели, къ вопросу о печатаніи грузинскихъ богослужебныхъ книгъ, Нов. Обозр. 1890 г. № 2404, იდ) Прот. Д. Гамбашидзе, къ вопросу о печатаніи церковно-грузинскихъ богослужебныхъ книгъ, пастырь 1889 г. № 14 იე) Ерицовъ А. Католицизмъ въ Грузіи, „Нов. Обозр." 1891 г. №№ 2533 и 2537. ივ) О грамматической литературѣ грузинскаго языка, спб. 1883 г.

### წერილი რედაქციის მიმართ

გურიის სახალხო წიგნსაცავისათვის მოგვივიდა ქ. ბათუმში ბ. ბესარიონ ლ. კალანდაძისაგან შეგროვილი 44 მ. სია შემომწირველთა: დ. კ. 2 მან., ტიმოთე გეგეჭკორი 5 მ., პლატონ ბერძენიშვილი 5 მ., გერონტი კალანდაძე 5. მ. მოსე მეგრელიშვილი 1 მ., იესე მელიმონიძე 5 მ., მიხეილ კალანდაძე 5 მ., გიორგი პაპასქირმა 5 მ.. იოსებ არონიშიძე 5 მ., იულონ დუმბაძემ 5 მ., და სპირიდონ კურნალია 1 მ. ბ-ნს ბეს. კალანდაძეს და აგრეთვე პატივცემულ შემომწირველთაც კეთილ-საქმეში დახმარებისათვის მადლობას ვუძღვნით.

გურიის წიგნთ-საცავის გამგე ამხანაგობა.
3 ივნისს,

---

## დეპეშა

15 ივნისს

**სრეტენსკი.** 9 ივნისს მშვიდობით მიბრძანდა ალბაზინს მემკვიდრე ცესარევიჩი, რომელსაც აღტაცებით მიეგებნენ მკვიდრნი. გემიდამ მათი უმაღლესობა წაბრძანდა ეკკლესიაში, საცა პარაკლისის შემდეგ, მღვდელმა ილოცა ალბაზინის დახოცილ დამცველთათვის. შემდეგ მღვდელმა სთქვა გრძნობით სავსე სიტყვა ალბაზინის მნიშვნელობის თაობაზე და მემკვიდრე ცესარევიჩის მიერ მის ნახვის გამო. შემდეგ მღვდელმა მიართვა მის უმაღლესობას ხელ-ნაწერი რუსთა ქველობის შესახებ ამურის მხარესა. ეკკლესიიდამ გამოსვლის შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩმა ინახულა შეღავათ-მინიჭებული ყაზახები და მათი ყმაწვილები. 10 ივნისს მათი უმაღლესობა მიბრძანდა სტანიცა პაკროვსკაიას. აქ, იმიერ ბაიკალის მხარეს სამზღვარზე, უავგუსტოეს ატამანს მიეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი და დეპუტატნი იმიერ ბაიკალის მხრის ჯარისა. მცირე მისალმების შემდეგ ნაკაზნი ატამანის მიერ, დეპუტაციამ მიართვა ვერცხლის ტაბაკით პურ-მარილი და ხატი ნიკოლოოზ სასწაულთ-მომქმედისა. სტანიცის ეკკლესიაში პარაკლისის გადახდის შემდეგ, მემკვიდრე ცესარევიჩმა ინახულა ყაზახები და მათი ყმაწვილები. 12 ივნისს მისი უმაღლესობა მიბრძანდა კარას. გემთ-მისადგომი ბაქანი კარგად იყო გამართული და ლამაზად მორთული. საპატიო-ყარაული კარის ბატალიონისაგან იყო გამოყვანილი. მისი უმაღლესობა შემდეგ წაბრძანდა შილკის მდინარის აყოლება და 13 ივნისს შუადღისას მშვიდობით მიბრძანდა სრეტენსკს.

**ბერნი.** ბაზელიდამ იწერებიან დეპეშით, რომ სეიბერგის გვირაბში ბრუგ-ბეზბერგ-ბაზელის რკინის გზაზე გუშინ სალამოს ხალხის მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. ერთს ინგლისელს მგზავრს სუბუქად დაუშავდა თავი, მხოლოდ დაშავდა კონდუქტორი და ფოსტის მოსამსახურე. რამდენიმე ვაგონი ხალხის მატარებლისა და ლოკომოტივი საქონლის მატარებლისა გაფუჭდა. მიზეზი მატარებლის დაჯახებისა ხალხის მატარებლის მაშინის გაფუჭება ყოფილა.

### პეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 6, | 92 | 6 | 94 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 138½ | | 139 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 04 | 1, | 06 | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 243½ | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 223½ | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212 | | — | ,, | — | ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

---

### იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ - კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

---

## განცხადებანი

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

**წიგნის მაღაზია**

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსელიშვილის სახლებში. ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—3)

---

ვამზადებ ყმაწვილებს გიმნაზიებსა, რეალურს სასწავლებელსა და სამოქალაქო სასწავლებელში შესასვლელად და აგრეთვე იმათაც, ვისაც ხელმეორედ გამოცდა აქვს დანიშნული.

(ადრესი „ივერიის“ რედაქციაში)

### ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

---

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა - სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |


სავალანტერიო მაღაზია

**პ. ი. ზროდსკისა**

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—11)





ტფილ. გამოფენა.




ვარცხლისა




ოქროსი


## აღალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадъ Агало А. Тутаеву. (15—75—5)


САПОЛИТИКО ДА

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 25,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 70,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

---

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

---

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 15-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე